პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 170 (3147) 1 1966 წ. სექტემბრის ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ახალი პერსპექტივები

ფიქრობენ, რომ 1970 წლისთვის საბჭოთა ფიზკულტურელების რიცხვი 65 მილიონს მიაღწევს. ასე ითქვა გუშინწინ მოსკოვში, საბჭოთა და საზღვარგარეთის უურნალისტებისთვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალ დადგენილებას მიეძღვნა.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ნიკონოვმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნა, რომ შვიდწლედში ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რიცხვმა ერთიორად იმატა და ახლა 46 მილიონს (მოსახლეობის 20 პროცენტს) აღწევს. ჩვენს ქვეყანაში ახლა 2400 სტადიონი, 30 ათასამდე ტანვარჯიშის დარბაზი, 64 ათასი ფეხბურთის მინდორი, 365 ათასი სპორტთამაშების მოედანია.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფიზკულტურისა და სპორტის დონე ჩვენში სათანადოდ კიდევ ვერ პასუხობს სადღეისო ამოცანებს. ახალი დადგენილება კი ახალ პერსპექტივებს შლის ამ მხრივ.

თავის განცხადებასა და პასუხებში ნიკონოვმა ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც ახლა ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის უნდა გადაჭრან სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა, სოფლის ორგანიზაციებმა, სპორტულ ნაგებობათა მშენებლებმა და ყველამ, ვისაც კი მოსახლეობის სპორტული ინვენტარით მომარაგება ევალება. კერძოდ, ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში უნდა გამოუშვან 40 მილიონი წყვილი თხილამური, 7 მილიონი წყვილი ციგურა და სხვა სპორტინვენტარი.

— ეს დადგენილება, — აღნიშნა ლ. ნიკონოვმა, — ახალი, მკაფიო დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდად ზრუნავენ ჩვენი პარტია და მთავრობა მშრომელთა ჯანმრთელობისთვის, საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისთვის.

ქართველი ჯენტლმენები

ამ ბოლო დროს ჩვენი ფეხბურთელები ხშირად ხვდებიან ხოლმე ისეთ სიტუაციებში, როდესაც მოსამართლეები ან მოწინააღმდეგეები ცდილობენ მათ ხელი შეუშალონ ან ფეხი აუბან. ასეთ დროს ჩვენი ფეხბურთელები ხშირად ხელიდან უშვებენ ხოლმე ხელსაყრელ მომენტს, ვერ ახერხებენ ბურთის ფლობას, ვერ ახერხებენ გოლის გატანას. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ ფეხბურთელებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლიათ ტექნიკურ-ტაქტიკური მხრივ.

ამ ბოლო დროს ჩვენი ფეხბურთელები ხშირად ხვდებიან ხოლმე ისეთ სიტუაციებში, როდესაც მოსამართლეები ან მოწინააღმდეგეები ცდილობენ მათ ხელი შეუშალონ ან ფეხი აუბან. ასეთ დროს ჩვენი ფეხბურთელები ხშირად ხელიდან უშვებენ ხოლმე ხელსაყრელ მომენტს, ვერ ახერხებენ ბურთის ფლობას, ვერ ახერხებენ გოლის გატანას. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ ფეხბურთელებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლიათ ტექნიკურ-ტაქტიკური მხრივ.

სსრ კავშირის პირველობა

გუშინ...

გაიმართა „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდების მორიგი მატჩები. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და „ტორპედო“.

მატჩი დამთავრდა ტორპედოელთა სასარგებლოდ — 2:0.

კუიბიშევში „კრილია სოვეტოვმა“ ფრედ ითამაშა მოსკოვის „სპარტაკთან“ — 0:0.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 1 სექტემბრისათვის

„ა“ კლასი I ჯგუფი

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	23	16	6	1	47—8	38
სკა	21	12	6	3	49—28	30
„ტორპედო“ (მოსკოვი)	24	11	7	6	38—24	29
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	23	11	7	5	33—27	29
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	21	8	11	2	23—14	27
სკა (როსტოვი)	22	12	1	9	34—36	25
„დინამო“ (მოსკოვი)	22	9	5	8	32—24	23
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	23	9	5	9	30—35	23
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	22	8	6	8	28—19	22
„დინამო“ (თბილისი)	22	7	8	7	24—22	22
„პაირატი“ (ალმა-ათა)	20	9	4	7	21—21	22
„დინამო“ (მინსკი)	22	6	8	8	22—26	20
„შახტიორი“ (დონეცკი)	20	8	3	9	19—23	19
„არარატი“ (ერევანი)	23	6	7	10	17—33	19
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	23	5	8	10	20—29	18
„ტორპედო“ (ქუთაისი)	22	6	4	12	28—41	16
„არ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	22	3	10	9	15—29	16
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21	5	2	14	16—32	12
სკა (ოდესა)	22	1	6	15	11—36	8

„ბ“ კლასი II ჯგუფი

უშედეგო იერიშები

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 31 აგვისტო.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (ქიროვაბადი) 0:0.

„ლოკომოტივი“: გრძელიშვილი, იაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, მირიანაშვილი, ძაგანია (კომკელოვი), მუმლაძე, მაზიაშვილი, კაიშაური, ახალკაცი, გავაშელი.

„დინამო“: ისმაილოვი, მამედოვი, სპიკინი, ფალკოვსკი, ბატკაევი, ვაგირამოვი, კასუმოვი, ტაგი-ზადე, ეინულაევი, აბდულაევი, მურიტოვი.

მსაჯი ტ. ხურუმი (კრასნოდარი).

დუბლიორები — 2:0 კიროვაბადელთა სასარგებლოდ.

მართალია. თბილისის „ლოკომოტივმა“ კიროვაბადის დინამოელები პირველ წრეში დაამარცხა ანგარიშით 3:2, მაგრამ მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და კიროვაბადელები დღეს ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები არიან. გარდა ამისა, ისინი ერთნაირი სიძლიერით თამაშობენ როგორც შინ, ისე სტუმრად.

მატჩის დასაწყისი, თითქოს, დიდ სიძნელეებს არ ქმნიდა თბილისელთათვის. ისინი საკმაოდ იოლად გადიოდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნამდე და სწორედ აქ, მიზანთან სულ ახლოს, იწყებდნენ ბურთის დაუსრულებელ ტარებას, რაშიც, როგორც ყოველთვის, პირველი იყო გავაშელი. კარგად წამოწყებული იერიშები იფუშებოდა იმის გამო, რომ კარში დარტყმა სრულდებოდა გვიან და უხეიროდ. ამიტომ დინამოელები იოლად გადაურჩნენ ხიფათს.

საგრძნობი გამოცოცხლება შეიტანა ლოკომოტიველთა შორის კოშკელოვმა, რომელმაც დაშავებული ძაგანია შეცვალა, მაგრამ ბურთებით მისი „მომარაგება“ თანაგუნდელებმა მეორე ტაიმში რატომღაც შეწყვიტეს და ეს, რასაკვირველია, აშკარა შეცდომა იყო. გარდა ამისა, საერთო ტემპს ცენტრში აშკარად ჩამორჩებოდა კაიშაური.

კიროვაბადელები მატჩის ბოლომდე მთელი ენერგიით თამაშობდნენ და არა მარტო იცავდნენ კარს, სახიფათო მომენტებსაც ხშირად ქმნიდნენ. საბოლოოდ, მეტოქეები „მშვიდობიანად“ გაშორდნენ ერთმანეთს და თითო ქულა ჩაიწერეს ცხრილში.

რ. ჟორჟიკე.

საამივე გოლის თანაავტორი

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 31 აგვისტო.

„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (ტალინი) 3:0 (2:0).

ბათუმი: კვახაძე, გიორგიადი, ჯოხაძე, დიმანოვი, კიზირია, ონიანი, ილურიძე, შაფათავა, გიორგაძე, ქიქავა, კონიაშვილი.

ტალინი: კიიუტი, ნაპი, ტიხმიროვი, ტამკირვი, კაბანოვი, კარპი, ნუიკი, სელიუგინი (იაბლოკოვი), გაიკოვიჩი, გილდე, მელისი.

მსაჯი ბ. ბობროვი (ვორონეჟი).

დუბლიორები — 2:1 ტალინელთა სასარგებლოდ.

განვლილი მატჩის ოქმში რომ ჩაიხედოთ, გატანილი გოლების ავტორთა შორის ვერ ნახავთ შაფათავას გვარს, მაგრამ იგი ღირსია იმისა, რომ საგანგებოდ იქნას აღნიშნული. შაფათავა ამ დღეს თამაშობდა მთელი მონდომებით, აქტიურად და ყველა ბურთი ტალინელთა კარში გატანილ იქნა მისი უშუალო თანაავტორობით.

მასპინძლებმა იერიშები საკმაოდ „უცერემონიოდ“ დაიწყეს და ტალინის გუნდი თავიდანვე აიძულეს დაცვაზე გადასულიყო. მე-19 წუთზე შაფათავა სწრაფად გავიდა თავის ფლანგზე, მიაწოდა ქიქავას და ამ უკანასკნელმა კარგად გამოიყენა მეტოქეთა მეკარის შეცდომა — 1:0.

ტაიმის განმავლობაში სტუმართა დაცვას თითქმის არ ჰქონდა მოსვენება. 27-ე წუთზე შაფათავას მორიგი გარღვევა დამთავრდა ზუსტი გადაცემით ცენტრში, სადაც ადგილზე აღმოჩნდა გიორგაძე, რომელმაც მეორე ბურთი გაიტანა სტუმართა კარში — 2:0.

შესვენების შემდეგ ესტონელმა ფეხბურთელებმა შეძლეს რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა. განსაკუთრებით აგრესიულად თამაშობდნენ გაიკოვიჩი და გილდე, მაგრამ კვახაძე და მცველები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ.

55-ე წუთზე შაფათავამ თავისი მორიგი რეიდი შეასრულა მარჯვენა ფრთაზე, მიაწოდა ცენტრში და გიორგაძემ კიდევ ერთხელ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში. ეს ბათუმელთა ცენტრალური თავდამსხმელის მე-11 გოლია მიმდინარე გათამაშებაში.

ვ. მოსეშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ლენინგრადელი „ოქროსმაძიებელი“



ლენინგრადელმა სტუდენტმა, 20 წლის ნადეჟდა ჩიჟოვამ გუშინწინ ბუდაპეშტში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია. მის მიერ ნატყორცნი ბირთვი პირველივე ცდაზე 17,22 მეტრზე დაეცა. ამ შედეგმა ჩიჟოვას ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა.

სურათზე: ნ. ჩიჟოვა მშობლიურ ქალაქში შეჯიბრებისას.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.

მაინის ფრანკფურტი, 31 აგვისტო. ტრეკზე მსოფლიო პირველობის ორი დღის მანძილზე საბჭოთა ველოსიპედისტებმა ვერაფერი შეიძინეს. გზატკეცილზე მოხვეჭილი „ბრინჯაო“ ჯერჯერობით ერთადერთია. განიცდიან სპორტსმენები და განვიცდით ჩვენც, ჟურნალისტებიც.

გამწყრალი ფორტუნა

ძნელია ახსნა, თუ რატომ გაუწყრა ჩვენებს სპორტული ფორტუნა. ყოველი რბოლა, ყოველი მარცხი საზრდოს იძლევა დაფიქრებისთვის. მაგრამ მთავარი არგუმენტი მაინც უცვლელია: იმარჯვებს უძლიერესი.

გუშინ საღამოს ჩვენ გავიგონეთ ინგლისის ჰიმნი, მას შემდეგ, რაც გამოდევნებით ქალთა ინდივიდუალურ რბოლაში გაიმარჯვა ბ. ბერტონმა. მძაფრ მეტოქეობაში ბელგიელ ი. რეინდერსთან მან მსოფლიო ჩემპიონის მეხუთე მედალი მოიპოვა. ბერტონმა 3 კმ 4 წუთსა და 10,47 წამში დაფარა.

მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად III ადგილისთვის რბოლა გვაინტერესებდა. ვიმედოვნებდით, რომ ა. პურონენი „ბრინჯაოს“ მოიხვეჭდა, მაგრამ ჰ. მატიგს (გდრ) შესაშური შეუდრეკლობა და სპორტული თავმოყვარეობა აღმოაჩნდა. თუმცა პურონენი უკანასკნელ წრეებზე რამდენიმე მეტრს უგებდა მეტოქეს, გერმანელი სპორტსმენის ფინიში უფრო მძლავრი გამოდგა. ლონჟინის ფირმის ჭრონომეტრებმა მატიგის აქტივში 0,23 წამის უპირატესობა აღნიშნეს.

გამოდევნებით ვაჟთა რბოლას ყველაზე კარგად უდგება „დაკარგული ილუზიების“ ეპითეტი. მართლაც, საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატების იმედი უნდა გქონდეს, თუ 4 კილომეტრს 5 წუთზე უსწრაფესად გაივლი. ეს საველოსიპედო აქსიომაა. რა თქმა უნდა, ჰოლანდიელ ტ. გროენთან მეოთხედფინალურ ასპარეზობაში ახალგაზრდა მინსკელი ვ. ბიკოვი განწირული იყო. გროენი საოცარი სიმტკიცით ნთქავდა წრეს წრეზე. მსოფლიო ჩემპიონის ტემპი ვიქტორისთვის მიუწვდომელი იყო. ჰოლანდიელს საუცხოო დრო აქვს — 4.51,76, სსრ კავშირის ექსჩემპიონს კი — წუთის მეოთხედით უარესი დრო.

შემდეგ ჩვენ დავკარგეთ ისეთი ავტორიტეტი, როგორიცაა ლენინგრადელი ს. მოსკვინი — მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. მისმა მეტოქემ, შედარებით ნაკლებად ცნობილმა იტალიელმა ჯ. ურსიმ შეძლო წინასწარ რბოლისას ნაჩვენები დროის გამეორება — 4.58,10. მოსკვინი კი თავის შესაძლებლობაზე გაცილებით უარესად გამოვიდა — 5.00,39. სხვათა შორის, ჰოლანდიელისა და იტალიელის გარდა, ნახევარფინალში გავიდა 2 ჩეხოსლოვაკიელი — ორი იური — კოლარი და დალერი, რომლებმაც საოცრად მტკიცე სისწრაფე აჩვენეს.

სპრინტერთა შეჯიბრებაში ეულად იბრძვის მსოფლიოს ჩემპიონი ო. ფხაკაძე. მისი ამხანაგები — მოსკოველი ა. ლოგუნოვი და ტაშკენტელი ა. კოლიუშევი „დამამშვიდებელ“ რბოლებს ვერ გასცდნენ და გუშინ ტრიბუნებზე, მაყურებლებს შორის დაიკავეს ადგილი. მერვედფინალში გავიდნენ 2 ფრანგი, 2 ჩეხოსლოვაკიელი და 2 ამერიკელიც კი. მხოლოდ საბჭოთა გუნდია 1 სპორტსმენით წარმოდგენილი.

ფხაკაძე კიდევ ერთი დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მეოთხედფინალში გავიდა. მისი მეტოქეები — ბელგიელი რ. ვან ლანკერი და ინგლისელი ა. ბარნეტი ცდილობდნენ ეეშმაკათ, მაგრამ ფხაკაძეს სიჩქარის ისეთი მარაგი აღმოაჩნდა, რომ მათი ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა.

ი. ხრომოვი.

ჩოხა კაბეთში ლესკვეტდეს ჯერ იყო...

ო. ფხაკაძემ წარმატებით განვლო მეოთხედფინალიც და ახლა ნახევარფინალში შეხვდება ფრანგ პ. ტრანტენს. მეორე ნახევარფინალში იბრძოლებენ ფრანგი დ. მორელონი და იტალიელი ჯ. ტურინი.

ლენინგრადელი „ოქროსმაძიებელი“

ლენინგრადელმა სტუდენტმა, 20 წლის ნადეჟდა ჩიჟოვამ გუშინწინ ბუდაპეშტში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია. მის მიერ ნატყორცნი ბირთვი პირველივე ცდაზე 17,22 მეტრზე დაეცა. ამ შედეგმა ჩიჟოვას ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა.

სურათზე: ნ. ჩიჟოვა მშობლიურ ქალაქში შეჯიბრებისას.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.

საკვესი ვოლეიბოლისტებს

ЭЛЕКТРОННАЯ БИБЛИОТЕКА

სკოლის ზარის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელო“ ინტერვიუ

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად საშუალო სკოლებშიც აწკრიალდება ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი. ნორჩები მერხებს მიუსხდებიან, სასკოლო სპორტულ დარბაზებსა და მოედნებს მიაშურებენ. ჩვენი კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე ეწვია თბილისის 53-ე საშუალო სკოლას და მის დირექტორს ლ. მარგველაშვილს ესაუბრა. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ ინტერვიუს.

● **საუბარი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. როგორ დაამთავრეთ გასული სასწავლო წელი?**

— გულახდილად გეტყვით, იგი არ იყო იოლი. სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ჩააბარეს როგორც XI, ისე X კლასის მოსწავლეებმა. ამან რიგი სიძნელეები გამოიწვია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა პედაგოგებმა ჩინებულად გაართვეს თავი საქმეს და გამოსაშვებმა გამოცდებში ნორმალურად ჩაიარა. მეორე სირთულე ის გახლდათ, რომ სკოლას შარშან თითქმის არ გააჩნდა სპორტული ბაზები (თუ არ ჩავთვლით დარბაზს, რომელსაც მეტად მცირე ფართობი უჭირავს) და სექციებში მეცადინეობას მოწყურებულ ბავშვებს სათანადო პირობები ვერ შეეუქმნებით. და მაინც, ჩვენი ფიზაღზრდის მასწავლებლების წყალობით, მოსწავლეებს მზრუნველი ხელი არ მოკლებიათ. ამან გარკვეული შედეგიც გამოიღო: გასულ სასწავლო წელს სკოლაში 1030 ფიზკულტურელი ითვლებოდა (1400 მოსწავლიდან); 96-მა ჩაბარა იმშო, 51-მა — მშო I საფეხურის ნორმატივები, ხოლო 44 ჭაბუკი გახდა ნიშნოსანი კომპლექსისა „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“. ჩვენი სკოლის 137 მოსწავლე მეცადინეობდა რაიონისა და ქალაქის სპორტსკოლებში. გასულ წელს სკოლადამთავრებულთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოსწავლე-სპორტსმენები თ. უკლება, ჯ. ჭყონია, ბ. წირქვაძე (მოფარიკავენი), გ. ნიკურაძე (ნიჩბოსანი), ი. კახიძე (მხატვრული ტანმოვარჯიშე) და სხვ. ჩვენი სკოლის ნორჩი მძლეოსნები კარგად გამოვიდნენ რაიონულ სპარტაკიადაში და II ადგილი დაიკავეს 14-15 წლის ჭაბუკთა შორის.

● **ახალი სასწავლო წლისთვის როგორ ემეზადეთ?**

— ჩვენი მთავარი საზრუნავი სკოლის რემონტის კარგად ჩატარება იყო. ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა, საგნობრივი კაბინეტები და ლაბორატორიები შესაბამისი ინვენტარით შეიფყო და სხვ. ერთი სიტყვით, მოსწავლეებთან პირშავად არა ვართ. თუმცა სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ სპორტული ბაზების საკითხი კვლავ ვერ მოგვარდა. სპორტული დარბაზისა და დამატებითი საკლასო ოთახების მშენებლობა ჭიანურდება და, ალბათ, გაისამდე არ დამთავრდება. ჯერ მხოლოდ საძირკველია ჩაყრილი. ეს მარტო ჩვენი ზრუნვის საგანი როდია, — მეტი მოქნილობა უნდა გამოიჩინონ სამშენებლო ორგანიზაციებმა და განათლების ორგანიზაციებმაც. იმედი გვაქვს, რომ ისინი ყურადღებას არ მოგვაკლებენ.

ასეა თუ ისე, გულხელდაკრეფილი ვერც ახლა დავსხდებით. ამის უფლებას არავინ მოგვცემს. სექტემბრის პირველი ნახევარი ბავშვების საექიმო შემოწმებას დაეთმობა. მოსწავლეები მასობრივად უნდა ჩავაბათ ჩვენი რაიონისა და ქალაქის ბავშვთა სპორტსკოლებში. ერთ საკითხზეც უნდა მოგახსენოთ: საშუალო სკოლების ხელმძღვანელებისა და ფიზაღზრდის მასწავლებლებისათვის ცნობილია მრავალი ფაქტი, რომ ხშირად მშობლები უცნაურ მეურვეობას უწევენ ბავშვებს. იშვიათად როდი გაგვიგონია მათგან: ჩემი ბავშვი ფიზიკურად სუსტია, გადატვირთულია, ინგლისურსა და მუსიკას სწავლობს, გეთაყვათ, გაათავისუფლეთ ფიზაღზრდის გაკვეთილებიდანო.

ვფიქრობ, დიდი მტკიცება არ სჭირდება, რომ ეს მოსაზრება მცდარია. სწორედ სუსტსა და, ასე ვთქვათ, „გადატვირთულ“ ბავშვებს სჭირდებათ ყველაზე მეტად ფიზიკური ვარჯიში, სკოლამ და მშობლებმა სწორედ მათ ჯანმრთელობაზე უნდა ვიზრუნოთ განსაკუთრებით.

როცა მოზარდი თაობის აღზრდაზე ვფიქრობთ, ფიზკულტურისა და სპორტის უგულებელყოფა ყოვლად შეუწყნარებელია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ ჩვენი მუშაობის შუქურად უნდა იქცეს. ამასთან დაკავშირებით, პედაგოგიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე, სკოლის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე დავსახავთ მთელ რიგ ღონისძიებებს და ძალას არ დავიშურებთ მათს ცხოვრებაში განსახორციელებლად. ამ მიმართებით ჩვენ უკვე გადავდგით კიდეც პირველი ნაბიჯი. გავითვალისწინეთ ისიც, რომ სკოლას სპორტული ბაზები არ გააჩნია, უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრას დავუკავშირდით. კათედრის გამგემ კ. ზაუტაშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენს მოსწავლეებს სამეცადინოდ დაუთმობენ უნივერსიტეტის სპორტულ ბაზებს, ბავშვთა სპორტული სექციების ხელმძღვანელებად გამოყოფენ კვალიფიციურ მწვრთნელებსა და პედაგოგებს.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი, ჩვენი გამოცდილი ფიზაღზრდის მასწავლებლები შ. შალამბერიძე, ა. ავალიანი, ი. ნათიძე და ი. ობიდკო ძალას არ დაზოგავენ სპორტში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისთვის, ზემოხსენებული დადგენილების განსხორციელებისთვის.



ჩვენს რესპუბლიკაში უკვე კარგად იცნობენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს, წყალში მხტომელ ნ. პოგონიას, რომელიც წლეულს განსაკუთრებული წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში. ამას წინათ მან თბილისის პირველობაში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა კოშკიდან ხტომაში, ხოლო ახლახან ტუიბულში გამართულ ტურნირში პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი წყალჭოგარდობის ამ სახეობაში.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. პოგონია.
ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

წყლის სტიქიაში

„ცოდნის“ ნაპერწკლები

სასარგებლო საქმეს აკეთებს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, რომელიც სერიით „ცოდნა — ხალხს“ ფართო მკითხველისთვის გამოსცემს პოპულარული ხასიათის ბროშურებს სულ სხვადასხვა თემაზე.

ახლახან გამოვიდა კიდევ ორი ბროშურა: ვ. ელაშვილის — „სპორტის ხალხური სახეობანი ფიზიკური აღზრდის საბჭოურ სისტემაში“ და კ. ალ-ჭაჭიშვილისა — „ტურიზმი მასობრივი სპორტია“.

წიგნის თარო

ვიდრე, კერძოდ, ხალხურ სახეობათა დახასიათებაზე გადავიდოდეს, პირველი ბროშურის ავტორი მკითხველს აცნობს ხალხური სპორტის არსს საერთოდ და მის ადგილს ფიზიკური აღზრდის საბჭოურ სისტემაში. შემდეგ იგი ლაპარაკობს ქართული ხალხური სპორტის მდიდარ საგანძურზე, ვრცლად მიმოიხილავს ქართულ ჭიდაობას, მკითხველს აცნობს მის წარსულსა და მნიშვნელობას ჩვენი ეროვნული სპორტული ტრადიციის ჩამოყალიბებაში, იმას, თუ რა სახით მოაღწია ამ სახეობამ დღემდე. ავტორს შედარებით მცირე ადგილი დაუთმია ისინდის, ცხენბურთის, მთიდან მხედრის დაშვების, ყაბახის, ხევსურული ფარიკაობისა და ჭოკით სიგრძეზე ხტომისთვის.

ბროშურის დასკვნით ნაწილში ავტორი სამართლიან გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ჩვენში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ქართული ეროვნული სპორტის სახეობათა აღდგენისა და დანერგვის დიდმნიშვნელოვან საქმეს. ეს საკითხი ვ. ელაშვილმა ადრეც წამოჭრა (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1965 წლის 16 ივლისი) და მისმა წერილმა — „ხალხური სპორტის აღმავლობა — ღვიძლი საქმე“ — დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს რესპუბლიკაში.

ყოველი საკითხის გაშუქებისას ავტორი საქმისა და საილუსტრაციო მასალის კარგ ცოდნას ამჟღავნებს.

შეგნიშნავთ მხოლოდ, რომ უმჯობესი იქნებოდა მას ნაშრომი თავებად დაეყო.

კ. ალ-ჭაჭიშვილის ბროშურა სპორტის ერთ-ერთ უაღრესად მასობრივ სახეობას — ტურიზმს ეძღვნება. საკითხების უკეთ გაშუქების მიზნით ავტორს ნაშრომი თავებად დაუყვია: მოგზაურობის მოწყობა, ხელმძღვანელის არჩევა და მისი მოვალეობა, მოგზაურობის რაიონის შერჩევა, ტურისტის საჭურველ-კაზმულობა, ტურისტის „ჯიბის აფთიაქი“, რა უნდა იცოდეს მოგზაურმა, ტურისტულ მოგზაურობათა სიძნელის კატეგორიები. ბროშურას აქვს დანართებიც: სავარაუდო ერთდღიანი და ორდღიანი მარშრუტები.

ამ ნაშრომის გაცნობით ტურიზმის მოყვარულნი ბევრ სასარგებლო რჩევა-დარიგებას მიიღებენ.

ორიოდე შენიშვნა მაინც გვაქვს: ერთი ის, რომ ავტორი არაფერს ამბობს ჩვენში ტურიზმის განვითარებისა და ახალ ხუთწლედში მისი პერსპექტივების შესახებ. მეორე (ეს მეტწილად ორივე ბროშურას ეხება) — აქა-იქ ვხვდებით ენობრივ ლაფსუსსა და უხერხულ გამოთქმებს. მაგალითად: „კლასიკური სპორტის ქვეშ უნდა გვესმოდეს“, „მსხვილი შეჯიბრებები“, „სსრ კავშირის ტურისტის“ ნიშნის მოსაპოვებლად საჭიროა: 1. სულ მცირე 14 წლის ასაკი“, „... ზურგზე კარგად ძევს და ხერხიანია სატარებლად“, „თუ ჯგუფის რომელიმე მონაწილე მეტისმეტად დაღლილია და განსაკუთრებით ფეხები აწუხებს....“, „ამიტომ უმჯობესია უბეიროო წყალი ადუღებული ვსვათ“, „შუადღისას დიდი შესვენება უნდა მოეწყოს და სადილიც მაშინ იჭამოს“...

ბ. დარსაძე.

ბათუმის საერთაშორისო ტურნირის პარტიებიდან

საკუთარი სანდახიუტო სისტემით

ვ. იანსა — მ. უიტელკი

მ. უიტელკი და ვ. იანსა ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ოსტატები არიან. პირველი დოქტორია, ბრატისლავაში ცხოვრობს, მეორე პრაღის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი და „ჩეხია-კლინის“ ფეხბურთელთა გუნდის მცველია. მათ შეხვედრას, რომელიც ტურნირის ფინიშზე შედგა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. იანსასთვის. იგი პირველი ადგილის პრეტენდენტი იყო და გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა. მაგრამ მ. უიტელკიმ, რომელიც მტკაცედ იდგა ბოლო ადგილზე, ვეჭკაცურად ითამაშა და ... ვ. იანსა მხოლოდ V ადგილზე გავიდა.

საინტერესოა, რომ მ. უიტელკი თამაშობს საკუთარ სადებიუტო სისტემას. ეს დებიუტი ორჯერ გამოიყენა ბ. სპასკიმ ტ. პეტროსიანთან ორთაბრძოლაში.

1. e4 g6 2. d4 ⩺g7 3. ⩺f3 d6 4. ⩺c4 e6 5. ⩺b3 ⩺e7 6. ⩺f4 h6 7. h4 a6 8. ⩺e2 b6 9. ⩺bd2 ⩺d7 10. 0—0—0 ⩺b7 11. ⩺pb1 ⩺b8 12. ⩺c1 a5 13. ⩺a4 ⩺a6 14. ⩺:d7+ ⩺:d7 15. c4 ⩺b7 16. ⩺e3 ⩺ad8 17. ⩺hd1 ⩺pe8 18. g4 ⩺pf8 19. h5 g5 20. ⩺g3 ⩺pe8 21. e5 d5 22. c5 ⩺b8 23. ⩺b3 ⩺c6 24. cb cb 25. ⩺e3 ⩺f8 26. ⩺e1 ⩺b5 27. f4 gf 28. ⩺:f4 a4 29. ⩺1f3 ⩺a5 30. g5 hg 31. ⩺:g5 ⩺e7 32. ⩺g3 ⩺e2 33. ⩺h7 ⩺:h7 34. ⩺g3+ ⩺f8 35. ⩺:h7 ⩺a6 36. ⩺c3 ⩺:d1 37. ⩺c7 ⩺:h5 38. ⩺:h5 ⩺d3+ 39. ⩺pc1 ⩺g6 40. ⩺:g6 fg 41. ⩺f3 ⩺e7 42. ⩺g5 ⩺b7 43. ⩺e8+ ⩺pd7 44. ⩺a8 ⩺c7+ 45. ⩺pb1 ⩺:g5 46. ⩺:g5 ⩺c4 47. ⩺f3 b5 48. ⩺g8 b4 49. ⩺:g6 ⩺c6 50. ⩺g7+ ⩺pc8 51. ⩺g1 ⩺pb7 52. ⩺g5 ⩺d2+ 53. ⩺pa1 b3 54. ⩺d1 ⩺c4 55. ⩺pb1 ba+ 56. ⩺p:a2 ⩺b6 57. ⩺b1 ⩺pc7 58. b4 ab+ 59. ⩺p:b3 ⩺a6+ 60. ⩺pb1 ⩺d2+ 61. ⩺pb2 ⩺:b3 62. ⩺p:b3 ⩺c6 63. ⩺pb4 ⩺c4+ 64. ⩺pb5 ⩺pd7 65. ⩺f3 ⩺c3 66. ⩺g5 ⩺pe7 67. ⩺pb6 ⩺g3 68. ⩺h7 ⩺b3+ 69. ⩺pc5 ⩺c3+ 70. ⩺pb5 ⩺c4 71. ⩺f6 ⩺:d4 72. ⩺g8+ ⩺pf7. თეორები დანებდნენ.

სასწავლო პაგალითი

ლ. ცინი — ბ. გურგენიძე

ამ პარტიაში მთავარი პრობლა მიმდინარეობს ჯერ ლაზიერისა და იტლების, შემდეგ მხოლოდ იტლების ენდშპილში. განსაკუთრებით მიმზიდველია ბ. გურგენიძის იტლის ბრძოლა თეთრი პაიკების წინააღმდეგ. ამ დაბოლოებას სასწავლო მაგალითის უფლებები აქვს.

სიცილიური დაცვა

1. e4 g6 2. d4 ⩺g7 3. ⩺e3 c5 4. ⩺e2 ⩺f6 5. f3 cd 6. ⩺:d4 0—0 7. ⩺c3 d5 8. e5 ⩺fd7 9. f4 ⩺b6 10. ⩺e2 ⩺c6 11. 0—0 f6 12. ⩺f ⩺:f6 13. ⩺d2 ⩺:d4 14. ⩺:d4 ⩺c4 15. ⩺:c4 dc 16. ⩺e2 ⩺g4 17. c3 ⩺:e2 18. ⩺:e2 ⩺:d4+ 19. cd ⩺:d4+ 20. ⩺ph1 ⩺:f4 21. ⩺:f4 ⩺:f4 22. ⩺f1 ⩺d6 23. ⩺:c4+ e6 24. h3 a6 25. ⩺b3 ⩺d5 26. ⩺d1 ⩺:b3 27. ab ⩺f8 28. ⩺d6 ⩺f2 29. ⩺:e6 b5 30. ⩺:a6 ⩺:b2 31. ⩺a8+ ⩺pg7 32. ⩺a7+ ⩺ph6 33. ⩺b7 ⩺:b3 34. ⩺ph2 g5 35. ⩺b6+ ⩺pg7 36. ⩺b7+ ⩺pg6 37. ⩺b6+ ⩺pf5 38. ⩺h6 b4 39. ⩺:h7 ⩺d3 40. ⩺f7+ ⩺pe4 41. ⩺g7 b3 42. ⩺:g5 ⩺d5 43. ⩺g4+ ⩺pd3 44. ⩺b4 ⩺pc3 45. ⩺f4 b2 46. ⩺f1 ⩺b5 47. h4 b1⩺ 48. ⩺:b1 ⩺:b1 49. ⩺pg3 ⩺pd4 50. ⩺pf4 ⩺pd5 51. ⩺pf5 ⩺f1+ 52. ⩺pg6 ⩺pe6 53. g4 ⩺f4 54. h5 ⩺:g4+ 55. ⩺ph7 ⩺pf7 56. h6 ⩺g6. თეორები დანებდნენ.

შეჯიბრება თევზის ჭერაში

ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა დიდი ჯგუფი სათევზაოდ წაიყვანა შაორის წყალსაცავზე, ხარისთვალაზე.

სპორტსმენები გუნდებად დაიყვნენ და მოეწყო შეჯიბრება თევზჭერაში: სპეციალურად გამოყოფილმა ჟიურიმ გამოაულინა გამარჯვებული: იგი აღმოჩნდა მე-4 საამქროს მუშა ჯ. ხუსკივაძე.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა წილად ხვდათ სამეცნიერო-საცდელი საამქროს წარმომადგენლებს.

ა. განუგრავა.

ზესტაფონი.

ჟურისჭულ ბილიკებზე

სოხუმი

ამ დღეებში ქ. სოხუმის კომუნალური მეურნეობის გაერთიანებულმა პროფკავშირმა ჩაატარა ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: სოხუმი — წებელდა — აბანთა — ამტყელის ტბა — ხევი — სოხუმი. ლაშქრობაში მონაწილეობდა 25-მდე ტურისტი.

ლაშქრობას ხელმძღვანელობდა სოხუმის კომუნალური მეურნეობის გაერთიანებული პროფკავშირების ინსტრუქტორ-მეთოდისტი ე. ნასონოვი.

ბ. ჟორდანია.

ჰიათურა

ფიზკულტურელის საკავშირო დღესა და დიდი პოეტის, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა ტურისტული კომბინირებული ლაშქრობა, რომელიც ამას წინათ მოეწყო მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტისა და „განთიადის“ საქალაქო საბჭოს ინიციატივით. 8-დღიანი ლაშქრობის მარშრუტი იყო: ჰიათურა — საწალიკის მთა — ნიკორწმინდა — ამბროლაური — ონი — კვაისი — ერწო — ჯავა — ჰიათურა.

ზ. ჩხეიძე.



თბილისის ზღვაზე დამთავრდა სსრ კავშირის დოსააფის პირად-გუნდური ჩემპიონატი საწულოსნო-სამოტორო სპორტში. ტურნირში, რომელშიც უველა რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები მონაწილეობდნენ, საერთო I ადგილი მოიპოვეს რსფსრ-ს სპორტსმენებმა — 741 ქულა. II ადგილზეა უკრაინა — 695, III — ბელორუსია — 566. საქართველოს კოლექტივი VIII ადგილით დაკმაყოფილდა — 451 ქულა.

ს უ რ ა თ ზ ე: სკუტერები დისტანციაზე. ფოტო ბ. ქვათაძისა.

ომარ ფხაკაძეს — ალტაცების ტაში

მაისის ფრანკფურტი, 30 აგვისტო. ამ დღეს ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი ბგაუდნენ შებადურებს, რომლებიც ზღვაზე ამინდის დადგომას ელიან. დილიდან ფრანკფურტს ტყვიისფერი ღრუბლები დაჰწვა, მერე კი წვიმამ გაამუქა ბეტონის თეთრი ოვალი. 2-საათიანი ლოდინის შემდეგ ამინდმა პირი იბრუნა და შეჯიბრებაც დაიწყო.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა უამინდობის გამო პროგრამა ერთგვარად გადაკეთეს. სტარტზე პირველად გამოვიდნენ გამოდეზენებით რბოლის მონაწილე ვაჟები. ჯენმა ველოსიპედისტებმა, შარშანდელი მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორმა, ლენინგრადელმა ს. მოსკვინმა და ტურნირის დებიუტანტმა, მინსკელმა ვ. ბიკოვმა საერთოდ ცუდად როდი იასპარეზეს, — 8 უძლიერესში მოხვდნენ. მოსკვინმა 4-კილომეტრიანი მანძილის გავლას 4.58.28 მოანდომა, ხოლო ბიკოვმა — 5.00,36. პირველის მაჩვენებელი V შედეგი იყო, ხოლო მეორესა — VIII. სხვათა შორის, ბიკოვს „გამოცდა ჩაუტარა" თვით მსოფლიო ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა ტ. გროენემა, რომელსაც ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აქვს — 4.54,21. ბიკოვი სტარტს ერთხელ კიდევ აიღებს, მაგრამ, ბედის უკუღმართობით, მეოთხედფინალში იგი კვლავ მსოფლიო ჩემპიონს შეხვდება. ასე რომ, მას წინსვლის ძალზე მცირე შანსი აქვს.

სპრინტში მსოფლიო ჩემპიონის ო. ფხაკაძის გამოსვლა პირდაპირ აღლუმს მოგაგონებდათ. თვთრ მაისურსა და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი ომარი საოცრად ელეგანტური იყო. თანაც, იგი სპრინტერთა ტურნირს ხსნიდა და მაყურებლებმა ალტაცების ტაშით დააჯილდოვეს ამ შესანიშნავი სპორტსმენის ბრწყინვალე გამოსვლა.

სერია ფხაკაძემ იოლად მოიგო. ავსტრიელ ვ. მალიცკს იგი ფაქტიურად კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა. ჩემპიონმა მეტოქე თავდაპირველად წინ გაუშვა, შემდეგ კი, ზედ ფინიშთან დაუჭაბაგად გაუარა მას. „მზის ქვეშ" დამაჯერებლად მოიპოვეს ადგილები პირველობის სხვა პრეტენდენტებმაც — ფრანგებმა დ. მორელონმა და პ. ტრანტენმა, იტალიელმა ჯ. ტურინიმ და სხვ.

ჩვენი მეორე სპრინტერი ვ. ლოგუნოვი მოულოდნელად გაეცა ინგლისელი ჯ. ბუკერის მარტივ ტაქტიკურ ქსელში და დამარცხდა. ახლა მისი შემდგომი ბედი „დამამშვიდებელ რბოლაზეა" დამყარებული.

უნდა ითქვას, რომ დასავლეთ გერმანიის პრესა თავისი კერპის რ. ალტიგის გამარჯვების შემდეგ პირდაპირ გადაირია და ფრანკფურტისკენ არც კი იხედება. გაზეთები ხოტბას ასხამენ გერმანულ პროფესიონალიზმს და მის საუკეთესო წარმომადგენელს ალტიგს. განსაკუთრებით ზეიმური ტონი აქვთ მსოფლიო ჩემპიონის მშობლიური ქალაქის — კიოლნის გაზეთებს. მაგრამ სხვა ქვეყნების სპორტული მომოშხილველების აზრით, ამ რბოლამ გამომძღვანა პროფესიული ველოსპორტის ყველა უარყოფითი მხარე. იგი გლადიატორების ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე სპორტულ ჯიდილს. სწორედ ამიტომ იყო, რომ 273-კილომეტრიანი დისტანცია 77 ველოსიპედისტიდან მხოლოდ ოცმა დაამთავრა. შარშანდელი ჩემპიონის, ინგლისელი ტ. სიმპსონის მოსწრებული თქმით (იგი 9 წრის შემდეგ გამოეთიშა რბოლას) ნიურბურგრინგში რბოლა კი არ იყო, არამედ თითქმის თვითმკვლელობა".

დიაგნოზი?!

თბილისელ ფრენბურთელებს ასეთი თამაში არ შეფერით

თბილისსა და ფრუნზეში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო შეჯიბრების პირველი წრე „ა" კლასის მეორე ჯგუფის გუნდებისთვის. 6 უძლიერეს კოლექტივი მეორე შესვენების შემდეგ, 16 სექტემბერს შეიკრიბება სოჭში, რათა გამოავლინოს 2 გუნდი, რომელიც გაისად პირველ ლიგაში ასპარეზობს. გაგაცნობთ თბილისის ტურის შედეგებს.

საუბარი მსურს დავიწყო, პირველ ყოვლისა, ტალინის „კალევის" ფრენბურთელების შესახებ. ისინი 15-ჯერ გავიდნენ მოედანზე და 15-ჯერვე გამარჯვებულებმა დატოვეს იგი. ტალინელები ყოველ შეხვედრაში მოთამაშის საუკეთესო თვისებებს ამჟღავნებდნენ, მიუხედავად იმისა, ძლიერ მეტოქესთან ჰქონდათ საქმე, თუ სუსტთან. ეს დიდი სიკეთეა გუნდისთვის. ჩვენი აზრით, სწორედ ამან შეუწყო ხელი ესტონელებს ყოველ მატჩში გაემარჯვნათ და ექვსეულს სათავეში მოქცეოდნენ. ფინალში ტალინელი სპორტსმენები გავიდნენ „ოქროს" 5 ქულით. — მათ მოგებული აქვთ ყველა მეტოქესთან, რომლებსაც კიდევ ერთხელ შეხვდებიან.

შესანიშნავად დაასრულა I წრე მინსკის „ბურევესტნიკმა", რომლის აქტივშიც 13 გამარჯვებაა. მინსკელები მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ (ტალინის „კალევთან"). სოჭის ტურნირს ისინი „ოქროს" 4 ქულით დაიწყებენ.

თბილისის ქვეჯგუფიდან ფინალში კიდევ 3 კოლექტივი გავა „ოქროს" ქულების მარაგით (როგორც ცნობილი გახდა, ფრუნზეს ჯგუფიდან მხოლოდ ირკუტსკის დინამოელებმა შეძლეს ექვსეულში მოხვედრა. მათ 1 ქულა აქვთ). ესაა ლუგანსკის „ავანგარდი", ლენინგრადის „სპარტაკი" (2-2 ქულა) და თბილისის „ბურევესტნიკი". ეს უკანასკნელი ერთადერთია, რომელმაც ყველა შეხვედრა წააგო ფინალისტებთან. სხვათა შორის, თბილისელებს ტურნირის ბოლო დღეს მინსკელებთან შეხვედრაში შეეძლოთ 1 „ოქროს" ქულის მოპოვება, მაგრამ გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში წააგეს — 4:15.

... თბილისის საერთაშორისო ტურნირში საკმაო წარმატებით გამოსვლის შემდეგ ქართველმა ფრენბურთელებმა ძალიან ცუდად ითამაშეს მინსკში, — სტუდენტთა V საზაფხულო თამაშების ფინალში, სადაც ბოლო, VIII ადგილი დაიკავეს. მათ უღიმღამოდ დაამთავრეს სსრ კავშირის ჩემპიონატის საშუალედო ფინიშიც და თუ პირველი წარუმატებლობა შეიძლებოდა, ვთქვათ, დაღლილობით აგვეხსნა (გუნდს არც ერთი დღე არ დაუსვენია ფინალური ასპარეზობის წინ), მეორე მარცხი, ჩვენი აზრით, მხოლოდ გუნდის უკმარ მე ვიტყოდი, სუსტ მომზადებას უნდა მიეწეროს. ამას რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ როგორც ტექნიკურსა და ტაქტიკურს, ისე ფსიქოლოგიურ მომზადებას, რაც ჩვენს ფრენბურთელებს არ გააჩნიათ. როგორც ჩანს, გუნდმა სათანადოდ ვერ გამოიყენა 20-დღიანი შესვენება, თბილისის ტურს რომ უსწრებდა წინ.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ „ბურევესტნიკს" ვაჟთა გუნდი ამჟამად „ავადაა" და სასწრაფოდ უნდა ვუქიმოთ, ხოლო თუ რომგორ, ეს დამოკიდებულია დიაგნოზზე, რომელიც რესპუბლიკის ფრენბურთის ფედერაციამ უნდა დასვას გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად. ყველაზე დიდი ბარჯი კი თავად ჩვენს ფრენბურთელებს მართებთ.

ამ გარჯის შედეგს სოჭის ტურნირი გვიჩვენებს.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების „კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით **საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის** წოდება მიენიჭათ: **გ. ჯაფარიძეს** (მუსტია) — მესტიის რაიონში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებაში მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომისთვის და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებული ბ. ცხადიანის მომზადებისთვის; **მ. გაჟავა** (თბილისი) — სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის სამთო-სათხილამურო ნაკრების მომზადებაში ნაყოფიერი საქმიანობისთვის.

ულიდესებზე

საქართველო—რუმინეთის ველოსიპედისტთა მატჩის გარშემო

ამ დღეებში თბილისის ველოტრეკზე გაიმართა საქართველოსა და რუმინეთის გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისელი გულშემატკივრები ველოსიპედისტთა ამგვარი შეჯიბრებებით მაინც დამაინც განებივრებული არ არიან, ცხადი გახდება ის ინტერესი, რაც მათ რუმინელი სტუმრების მიმართ გამოიჩინეს. როგორც ცნობილია, მატჩი მოიგო რუმინეთის ნაკრებმა — 5:2. „ლელოს" კორესპონდენტმა ასპარეზობის მთავარ მსაჯს ა. გუნიას სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა აღნიშნული შეჯიბრებისთვის. აი, რა გვითხრა მან.

— სატრეკო ველოსპორტი, საგზატკეცილოსგან განსხვავებით, რუმინეთში ნაკლებად პოპულარულია, მაგრამ ამ ქვეყანას მაინც ჰყავს რამდენიმე მაღალი კლასის სპორტსმენი. მათ გულით სურდათ ჩვენი ველოსპორტის „მეფესთან" — ო. ფხაკაძესთან შეხვედრა. მაგრამ ეს არ მოხერხდა, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონი მაისის ფრანკფურტშია თავისი მაღალი ტიტულის დასაცავად.

მასპინძლების გუნდს ფხაკაძის გარდა ჰყავდა ორი ძლიერი სპორტსმენი: ვ. ფეტისოვი (იგი გუნდურ და 100-წრიან რბოლაში უნდა გამოსულიყო) და ო. ზირაქიშვილი (სპრინტი). ამ დანაკლისმა ჩვენი ველოსიპედისტების საერთო შედეგზე გავლენა იქონია — მასპინძლებმა სწორედ ზემოდასახელებული სახეობები წაიგეს.

და მაინც, დამარცხების მიუხედავად, საქართველოს ნაკრებმა ცუდი შთაბეჭდილება როდი დატოვა. საქმე ისაა, რომ ამ საერთაშორისო მატჩში ჩვენები უმთავრესად ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდიოდნენ. გამოვლინდა ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი, რომელიც სათანადო წვრთნისა და გამოცდილების მიღების შემდეგ მოწინავეთა რიგში ჩადგება.

შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა რამდენიმე შეკითხვაზე გაგვცა პასუხი:

● რა უნდა მივიჩნიოთ მასპინძლების მთავარ ნაკლად?

— მარტივი ტაქტიკა, რაც მეტწილად ახალგაზრდების გამოუცდელობით არის გამოწვეული.

● როგორი შთაბეჭდილება დატოვა რუმინელებზე თბილისის ტრეკმა?

— როგორც ჩანს, ერთხელ კიდევ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენთვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხს. ზოგიერთ სახეობაში ბრძოლამ საინტერესოდ ჩაიარა და სტუმრებს საყვედური არ ეთქმით. მაგრამ იქ, სადაც მაღალი სისწრაფე იყო აუცილებელი, თბილისის ტრეკმა კვლავ გამოსდო ასპარეზობის მონაწილეებს. ჯგუფური რბოლის სტარტი 14-მა ველოსიპედისტმა აიღო, დისტანცია კი მხოლოდ ცხრამ დაამთავრა. 5 ველოსიპედისტი ბეტონის ოვალის სიგიჟწროვის მსხვერპლი შეიქმნა. ასე რომ, ჩვენი მთავარი პრეტენზია — ახალი ტრეკის აუცილებლობა—ძალაში რჩება.

● მასპინძელთაგან ვისი გამოყოფა შეიძლება?

— უპირველესად ყოველისა, შ. კაცაძისა. სხვათა შორის, რუმინელებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ამ ახალგაზრდა სპრინტერის ოსტატობა და მას კარგი მომავალი უწინასწარმეტყველეს. შ. კაცაძე ზესტაფონიდანაა, სადაც ველოსპორტი უყვართ და ესმით. ამბობენ, ზესტაფონის თაკვაცები ტრეკის მშენებლობის ორგანიზაციას შეუდგნენ. თუ ეს მართალია, ზესტაფონი საქართველოს ნაკრებს არა ერთ და ორ შესანიშნავ ოსტატს აღუზრდის.

* * *

მოგვყავს საერთაშორისო ამხანაგური მატჩის ტექნიკური შედეგები:

სპრინტი: 1. შ. კაცაძე, 2. დ. პოპოვიჩი, 3. ჯ. სუარე (ორივენი — რუმინეთი), 4. ს. ბარამია (საქართველო), 5. ფ. ნეგუესკუ (რუმინეთი), 6. მ. კნიაზიანი (საქართველო). გუნდური: 1. რუმინეთი, 2. საქართველო.

გუნდური რბოლა: 1. რუმინეთი (ვ. ბურლაკუ, ტ. ბარბულესკუ, ვ. ვოლოშინი, კ. ბაჩუ) — 4.50.6, 2. საქართველო (ე. მელკოვი, ვ. მალევანიკი, ვ. პოპოვი, ზ. ვაშაკიძე) — 4.53.0.

გამოდევნებით ჯგუფური რბოლა: 1. ზ. ვაშაკიძე, 2. ე. მელკოვი, 3. ვ. პოპოვი (ყველანი—საქართველო), 4. ე. ბაჩუ, 5. ფ. ნეგუესკუ (ორივენი — რუმინეთი), 6. ს. ბარამია (საქართველო). გუნდური: 1. საქართველო, 2. რუმინეთი.

ბიტი 500 მეტრზე ადგილიდან: 1. შ. კაცაძე — 35,9, 2. ჯ. სუარე — 36,3, 3. დ. პოპოვიჩი — 36,5, 4. ფ. ნეგუესკუ — 36,7, 5. ვ. პოპოვი — 36,8, 6. ე. მელკოვი — 36.8. გუნდური: 1. საქართველო — 1.49,5, 2. საქართველო — 1.49,6.

ჯგუფური რბოლა 100 წრეზე (20 ფინიშით): 1. კ. ბაჩუ, 2. ე. მელკოვი, 3. ვ. ბურლაკუ, 4. ვ. პოპოვი, 5. ე. ბარბულესკუ, 6. ზ. ვაშაკიძე. გუნდური: 1. რუმინეთი, 2. საქართველო.

გამოდევნებით რბოლა: 1. საქართველო — 47,0 (ვ. პოპოვი, ე. მელკოვი, შ. კაცაძე), 2. რუმინეთი — 47,2 (ვ. ბურლაკუ, დ. პოპოვიჩი, ფ. ნეგუესკუ).

* * *

სურათზე: სპრინტერული რბოლის ფინიში. წინა პლანზეა შ. კაცაძე, უკან — დ. პოპოვიჩი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ჩემპიონატი გაიხსნა

პრაღა, 30 აგვისტო. ჩეხოსლოვაკიის მოედნებზე დღეს დაიწყო მსოფლიოს ფრენბურთელ ვაჟთა VI ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ 23 ქვეყნის წარმომადგენლები. ეს საინტერესო შეჯიბრება სადღეისწყლო ვითარებაში გახსნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ი. ლენარტმა.

ტურნირის მონაწილენი დაყოფილი არიან ოთხ ჯგუფად, სადაც წინასწარ თამაშობენ ჩაატარებენ. თვითეული ჯგუფიდან 2 უძლიერესი გუნდი გავა ფინალში და გაითამაშებს სპორტის ტიტულს.

ჩემპიონატის პირველ მატჩში ჩინელებმა დამარცხეს იტალიის ნაკრები — 3:0 (15:3, 15:3, 15:0). წარმატებით აიღეს სტარტი საბჭოთა ფრენბურთელებმაც: მათ მოუგეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს — 3:1 (13:15, 15:8, 15:6, 15:9). ისინი ქვეყნის სამხრეთში მდებარე ქალაქ ნიტრაში თამაშობენ. მათთან ერთად აქ არიან უნგრეთის, გდრ-ის, კუბის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის გუნდები.

პრემიერმა

პრაღაში თამაშობენ იტალიის, ჩინეთის, ისრაელის, გფრ-ის, უოლესვეიცია და ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელები, ჩეხეთ-ბუდეიოვიცეში — არგენტინის, ჰოლანდიის, მონღოლეთის, ბოლონეთის, რუმინეთისა და თურქეთის კოლექტივები, ხოლო იივლავაში—ბრაზილიის, ბულგარეთის, ფინეთის, ბელგიისა და იაპონიის წარმომადგენლები.

წინასწარი მატჩები დამთავრდება 3 სექტემბერს, ხოლო მსოფლიოს ახალი ჩემპიონის სახელს ჩვენ შეიტყობთ 8 დღის შემდეგ. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც წელსვლა თავისი არსებობის 20 წლისთავს აღნიშნავს, დაასახელებს ჩემპიონატის საუკეთესო თვლიმსხმელსა და საუკეთესო გამთამაშებელს.

ფეხბურთი

ჩემპიონატის ეკო

ფრანც ბეკენბაუერი — № 1

ამოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთის გულშემატკივართა შორის მოეწყო ანკეტა: „ვინ არის გფრ-ის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი?“

I ადგილზე გავიდა ფრანც ბეკენბაუერი, რომელმაც საერთო ხმების 28 პროცენტი მიიღო. II-III ადგილები გაიყვეს უვე ზეელერმა და ჰელმუტ ჰალერმა (16-16 პროცენტი).

გარის ღირს... 5000

მირვანქა სტერლინგი

კიოლნი. როგორც ცნობილია, ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩის დამთავრებისთანავე თვალსა და ხელს შუა გაქრა ფინალის „მონაწილე“ ბურთი. ექვი მიიტანეს გერმანიის ნაკრების წევრზე ჰალერზე, რომლის ხელში ნახეს უკანასკნელად ბურთი. ჰალერმა დაიფიცა, რომ მას ბურთი არ მოუპარავს. მაგრამ ინგლისელებს ჰალერის ფიცმა ეჭვი ვერ გაუფანტა. ამას დაემატა შვეიცარიელი მსაჯის დინსტის კატეგორიული განცხადება, რომლის თანახმად ბურთი სწორედ ჰალერმა გადამალა.

სწორედ ამიტომ, სპორტინვენტარის ერთ-ერთმა ბრიტანულმა ფირმამ ჰალერს 5000 გირვანქა შესთავაზა, თუ კი ის ბურთს დააბრუნებს. გერმანელი მტკიცე უარზეა: ბურთი არ ამიღია და ამაზე ლაპარაკი უაზრობად მიმაჩნიაო.

რა არის „სურხარბანი“?

მარცხნივ და მარჯვნივ 19 ახვადასხვა ფერის ცილინდრი ჩაუმწკრივებიათ, — მწვანე, ცისფერი, ყვითელი... ერთიც შუაში ჩაუდგამთ — წითელი ფერისა. წინ და უკან ამ „ცისარტყელას“ ორორი მეტრით დაშორებული თითო ხაში საზღვრავს. აი, მშვილდოსანი საასპარეზოდ გამოდის, ლარს მოზიდავს და გამოცდილი ხელით ნასროლი ისარი ერთ-ერთ ცილინდრს ხაზს იჭით გაიტანს. თუ ეს ცილინდრი წითელია, მაყურებლები ხმამაღალი, მხიარული შეძახილებით აჯილდოებენ სპორტსმენს.

აი, ეს არის „სურხარბანი“, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ბურიატთა საბჭოთა ავტონომიურ რესპუბლიკაში. „სურხარბანს“ ადრეულ ბავშვობაშივე უნდა ეზიარო და მთელს ცხოვრებაში არ დაივიწყო. ის, ვინც მშვილდით ხელში საასპარეზოდ არ გამოდის, ფეხბურთის მოყვარულებზე ნაკლებ თავდადებული გულშემატკივარი როდია. გამარჯვებულის პატივსაცემად იქმნება ახალი სიმღერები, მას ყველა იცნობს, მისი სახელი რესპუბლიკის ყოველ კუთხეში მიაქვს რადიოს, გაზეთს, ტელევიზიას...

ამ თამაშის წესები უძველესია და შემთხვევითი სულაც არ გახლავთ. როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჩაითვლება შედეგი, როცა ისარი სამიზნეს კი ხვდება, მაგრამ დაცემით „ჭალაჭის“ წინა ხაზზე ეცემა? საქმე ის არის, რომ ასე ნასროლი ისარი ცოცხალ ნადირს ფეხებში გაუვლიდა და არც დაჭრიდა. სწორედ ამავე მიზეზით ითვლება უშედეგოდ ცდა, თუ ისარი მხოლოდ ხვდება მიზანს, მაგრამ ცილინდრს უკანა ხაზს ვერ აცილებს.

საასპარეზო მანძილი 40 ან 50 მეტრი უნდა იყოს. შეჯიბრების ყოველ მონაწილეს 8-10 ცდის უფლება აქვს. 10 ქულით შეფასდება მისი ოსტატობა, ვინც ისარს წითელ ცილინდრს მოარტყამს.

„სურხარბანი“, რომელიც დიდსა და პატარას ერთნაირად იზიდავს, იმართება სოფლებში, რაიონებში, შედეგ კი უძლიერესი სპორტსმენები ერთმანეთს რესპუბლიკის პირველი მშვილდოსნის სახელს ეცილებიან.

იქნებ მონადირული ჩვევები და გაწაფულობა ყველაზე უკეთ უფროს თაობას შემორჩა? „სურხარბანი“, 1923 წლიდან მოკიდებული, ყოველწლიურად ტარდება და სულ ახლახანაც კი სწორედ ეს თაობა არ თმობდა ჩემპიონის სახელს. მათგან ბევრმა 50 წელი უკან მოიტოვა, ზოგი კი, მაგალითად, დორჟიევი, მუნკოევი, ლუბსანოვი 80 წელსაც ითვლის. იქაურ ახალგაზრდებს მუდამ დიდი მოკრძალება სჩვეოდათ უფროსთა მიმართ, მაგრამ „სურხარბანში“ მაინც ჩამოიტოვეს ვეტერანები. ახალი ჩემპიონი დ. ერდინიევი 30 წლისაა, II ადგილი კი ბოლო ასპარეზობაში მისმა აღზრდილმა, სტუდენტმა ვ. მუროვმა დაიკავა. სიტყვამ მოიტანა და ერდინიევმა ახლახან შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

ერდინიევისთვის (იგი მასწავლებელია) სპორტული მშვილდოსნობა ოჯახური გატაცებაა. მისი მეუღლე, ინგლისური ენის მასწავლებელი, პირველთანრიგოსანია. საერთოდ, ამ სახეობას კარგაძალი მიმდევარი ჰყავს რესპუბლიკაში. მათგან ბევრს სპორტული თანრიგიც აქვს. თანრიგოსანი ბევრია ერდინიევის მოსწავლეთა შორისაც. სპორტული მშვილდოსნობის დიდი პოპულარობის მიუხედავად, „სურხარბანს“ მაინც არ დაუკარგავს მიმზიდველობა, მით უფრო, რომ ბურიატები წმინდად იცავენ ეროვნულ წესებს და ტრადიციებს.

და აი, ყოველ წელიწადს ათასობით მაყურებელი გატაცებით ადევნებს თვალს ისრის ჭროლას და მერე სულითა და გულით მიესალმება ყველაზე მარჯვე მშვილდოსანს, ხალისით რომ ცეკვავს გამარჯვებულის ცეკვას.

ი. მაზილოვი.

ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატზე

გუდაკეშტი, 30 აგვისტო. მოგვყავს დღეს გათამაშებულ სახეობებში 3-3 საუკეთესო შედეგი:

20 კმ-ზე სპორტული სიარული

1. ლინდერი (გდრ) — 1:29.25;
2. გოლუბნიჩი (სსრ კავშირი) — 1:30.06;
3. სმაგა (სსრ კავშირი) — 1:30.18.

საბჭოთა სპორტსმენი ვედიაკოვი V იყო — 1:32.00,8.

10 კმ-ზე რბენა

1. ჰააზე (გდრ) — 28.26,0;
2. მეჩერი (უნგრეთი) — 28.27,0;
3. მიკიტენკო (სსრ კავშირი) — 28.32,2.

ბირთვის კვრა (ქალები)

1. ჩიჟოვა (სსრ კავშირი) — 17.22 მ;
2. გუმელი (გდრ) — 17,05 მ;
3. ლანგე (გდრ) — 16,96 მ.

საბჭოთა სპორტსმენი ზიბინა IV იყო — 16,65 მ.

ამასაც ბედი ჰქვია! ცნობილმა ამერიკელმა ავტომობილისტმა რ. კოფინმა შეერთებული შტატების ჩემპიონატის პირველივე სტარტი ავარიით „აღნიშნა“. კარგი, რომ მრბოლელი მსუბუქად დაშავდა. დაზარალებული მანქანა გაცილებით სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს.

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.



მოკლედ

● **ლისაბონი.** ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი გაიმართება 1967 წლის 24 მაისს ლისაბონში. თუ მატჩმა უძლიერესი ვერ გამოავლინა, გუნდები ერთმანეთს ხელმეორედ შეხვდებიან 26 მაისს.

● **მიუნჰენი.** უეფა-მ დაამტკიცა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური შეხვედრის თარიღი. ივი შედგება 1967 წლის 31 მაისს გფრ-ის ერთ-ერთ ქალაქში. თუ საჭირო გახდა დამატებითი მატჩი, იგი 2 ივნისს გაიმართება იქვე.

● **ლისაბონი.** პორტუგალიის ჩემპიონის, ადგილობრივი „სპორტინგის“ მწვრთნელად დაინიშნა ცნობილი ესპანელი სპეციალისტი არგილია, რომელიც აქამდე წვრთნიდა ბარსელონის „ესპანიოლს“. ზოგიერთი კომენტატორი გაოცებულია ამ გადაწყვეტილებით, ვინაიდან „სპორტინგის“ ყოფილმა მწვრთნელმა, ბრაზილიელმა გლორიამ მხოლოდ ის „დააშავა“, რომ გუნდს ჩემპიონის სახელი მოუპოვა, ხოლო პორტუგალიის ნაკრები (რომლის მწვრთნელად იგი დღესაც რჩება) წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში III ადგილზე გაიყვანა.

უნგრეთის ნაკრების მატჩები

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა თავისი ეროვნული ნაკრების საერთაშორისო მატჩების კალენდარი.

7 სექტემბერს უნგრელები როტერდამში შეხვდებიან ჰოლანდიის ნაკრებს. მომდევნო სამ მატჩს უნგრელები შინ (ბუდაპეშტში) გამართავენ: 21 სექტემბერს ეთამაშებიან დანიის ნაკრებს, 28 სექტემბერს — საფრანგეთისას, ხოლო 30 ოქტომბერს — ავსტრიისას.

მასპინძელთა წარმატება

ოსლოში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სკეიდი“ და ესპანეთის „რეალ სარაგოსა“. გაიმარჯვეს ნორვეგიელებმა — 3:2 (1:0).

საპასუხო შეხვედრა გაიმართება სარაგოსაში, 12 სექტემბერს.

(საკ. ინფ.).

„გენფიკა“ მხოლოდ მესამეა

ნიუ-იორკის საერთაშორისო ტურნირში „ჩემპიონთა თასზე“, როგორც ცნობილია, დარჩენილი იყო ერთი შეხვედრა: „ბენფიკა“ (ლისაბონი)—აეკ-ი (ათენი). ამ გუნდების მატჩის პირველ ნახევარი პორტუგალიელებმა მოიგეს — 1:0, შესვენების შემდეგ მეტოქეებმა 3 გოლი გაიტანეს და მატჩი დამთავრდა ფრედ —2:2.

ამრიგად, პრიზის მფლობელს — ბრაზილიის „სანტოსს“ ცხრილში „გვერდი დაუმშვენა“ აეკ-მა. ბურთების უარესი შეფარდების გამო III ადგილზე დარჩა „ბენფიკა“.

(საკ. ინფ.).

ეს, როგორ გამოვლინდა გამარჯვებული

კასაბლანკა, 30 აგვისტო. ფეხბურთელთა აქ გამართული საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი გუნდები — „რეალი“ (მადრიდი) — „ბოკა ხუნიორსი“ (ბუენოს-აირესი). მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1... გამარჯვება კი ესპანელებმა იზეიმეს.

საქმე ის არის, რომ შეხვედრის შემდეგ გამარჯვებულის გამოსავლენად მეტოქეთა კარში დაინიშნა 3-3 11-მეტრიანი საჯარიმო. ესპანელებმა 100 პროცენტით შეასრულეს დავალება, მათმა მეტოქეებმა კი მხოლოდ 2 პენალტი გაიტანეს.

● „სკეიდი“ (ოსლო) — „რეალ სარაგოსა“ 3 : 2

● „გენფიკა“ (ლისაბონი) — აეკ-ი (ათენი) 2 : 2

● „რეალი“ (მადრიდი) — „ბოკა ხუნიორსი“ (ბუენოს-აირესი) 1 : 1 და 3 : 2

„ლელო“ საქართველოს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ტენისის, ცურვის, ატლეტიკის, ავტომობილისა და ფეხბურთის ფედერაციების ორგანო

▲ პრაღა. ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშე ვერა ჩასლავსკა ჩინებულ ფორმაშია. ამას წინათ აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მან დიდი უპირატესობით მოიგო I ადგილი 77,764 ქულით.

▲ ლონდონი. ბრიტანეთის მომავალი თამაშები ჩატარდება 1970 წელს შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში.

▲ პარიზი. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მექსიკამ ქალთა მსოფლიო პირველობის ჩატარებაზე უარი თქვა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. 1 სექტემბერი. საქართველოს თასის ფინალი. „გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). დასაწყისი 18 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 8-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 8-95-41, მახობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8.95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მეანქანეთა ბიურო—8-95-11, გამომშვები — 8.98-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 06063